

საქართველოს კანონი

„სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N56, 28.12.2005, მუხ. 390) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა. საპენსიო ასაკის – 60 წლის მიღწევა.“

2. მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პენსიის მიღების უფლების წარმოშობის საფუძველია ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე საფუძველის არსებობა. ამასთანავე, საპენსიო ასაკის მიღწევის გამო პენსიის მიღების უფლება ქალებს წარმოეშობათ 55 წლის ასაკიდან“.

3. მე-9 მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პრიმა მუხლი:

„9“. საპენსიო ასაკის მიღწევის გამო პენსიის გაანგარიშება.

საპენსიო ასაკის მიღწევის გამო პენსიის ოდება განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პენსიის მინიმალური ოდენობისა და ნამსახურობის თითო წელზე ერთი ლარის დანამატის ჯამით.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი